

ბ უ დ ი ზ მ ი

მსოფლიო რელიგიაა, რომელსაც შემოქმედი ღმერთის ცნება არ გააჩნია. მას „შინაგან რელიგიას“ ანუ „შინაგანი სამყაროს რელიგიას“ უწოდებენ, რადგან მედიტაციის(ლოცვის) მეშვეობით მორწმუნე არა ღმერთის, არამედ საკუთარი სულის სიღრმეს უკავშირდება. სახელწოდება დაკავშირებულია დამარსებელთან- სიდჰატრა გაუტანამასთან, რომელიც გახდა ბუდა- განსხივოსნებული და მის მიმდევრებსა და თაყვანისცემლებს ბუდისტებს (განსხივოსნებულებს) უწოდებენ. წარმოიშვა მე 6-7 სს. მიჯნაზე, ინდოეთში, მაგრამ ფართო ასპარეზი ამ ქვეყნის გარეთ ჰპოვა: ჩინეთში, იაპონიაში, კორეასა და შორეულ აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში. ბუდისტების საერთო რიცხვი დღეს 359 მლნ. აღემატება.

ბუდას მოძღვრების საერთო სახელია დჰამა- საკატა- ვატანა- სუტა ანუ დჰამას ბორბალი. ითვლება, რომ ეს ბორბალი ბენარესში ამოქმედდა ბუდას პირველი ქადაგების წარმოთქმის ადგილას. ბუდას მოძღვრება არ არის თეოლოგია ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ეს არის მოძღვრება მორალის, მედიტაციისა და ჭეშმარიტების შესახებ. ბუდამ იგი არა ღვთაებრივი გამოცხადების, არამედ მედიტაციის მეშვეობით შეითვისა. მისი გასხივოსნება საკუთარი სულის აქტივობის საფუძველზე მოხდა. ჭეშმარიტება არის ოთხი: 1) არსებობს ტანჯვა- დუკვა; 2) არსებობს ტანჯვის მიზეზი- სამოდაია; 3) არსებობს განკურნება- ნიროდჰა; 4) არსებობს გზა განკურნებისა და ხსნისა- მაგა.

ძველ საქართველოში ბუდისტთა თემის არსებობა არ დასტურდება. ქართულ კულტურის ბუდიზმთან კონტაქტის მაგალითია შუასაუკუნეების ქრისტიანობის მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული წიგნის „ვარლაამისა და იოასაფის“ ისტორია - ეს არის ბუდას ისტორიის ქრისტიანიზირებული ვერსია, რომელშიც მოთხრობილია ინდოეთის გაქრისტიანების ამბავი. მეცნიერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მის წართულ ვარიანტს “ბალაბარიანს“, ეს ძველი საქართველოში არაბების

დროს შეიქმნა. როგორც გიორგი მთაწმინდელი გვაუწყებს მე 10-11 სს. ექვთიმე ათონელმა ბერძნულ ენაზე თარგმნა, ბერძნულიდან ლათინურად ითარგმნა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

დღეს საქართველოში, თბილისში, ბუდისტების მცირე ჯგუფი არსებობს.